



სოხის მოამბე

№7 (7182)
29 მაისი,
ოთხშაბათი, 2024 წელი
ბაზეთი გამოცემის 1932 წლის 12 ივლისიდან
ფასი 0.70 ლარი.

„თვითმპირთაგან უკეთესი ნიძილი ხელის
ყოფილების სიჭირბოძისა. სიცი ონდა ფრუბთ, იგი
ყოფილებს ხეობის... ყოფილი სიხელმწიფო, რიკის
ნისხედ ქალთი თუ ბეროდ დიდებრი,
სინილ-სინილთა ბის დაყოფილი,
უიძ ძივლი
და პაწონობი ბდილი იყოს.“
ი. ჭიჭიტიანი

სოხის მუნიციპალიტეტის გაჭრითი ორგანო



26
მაისი
დამოუკიდებლობის დღე

ბილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!
რაც გვამაყება და გვაერთიანებს!



26
მაისი
დამოუკიდებლობის დღე

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე: „ქვეყანას მართავს ხელისუფლება, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის საღარაჯოში დგას და მის ეროვნულ ინტერესებს იცავს“



მოუკიდებლობა. **ქედს ვიხრი თითოეული გმირის წინაშე, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობას ყველაზე ძვირფასი, საკუთარი სიცოცხლე შესწირა.**

106 წლის წინ, 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და საფუძველი ჩაეყარა პირველ ქართულ რესპუბლიკას, რომელმაც, მართალია, მხოლოდ, 3 წელიწადი იარსება, მაგრამ დემოკრატიული მმართველობის უძვირფასესი მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, მივესალმები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრეს მეფე შიოს, საპატრიარქოს წარმომადგენლებს, დედაქალაქის მერს, დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეს, საქართველოს თავდაცვის მინისტრს, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურს, ქართულ ჯარს, მივესალმები საქართველოს პარლამენტის წევრებს, საქართველოს მთავრობის წევრებს, მივესალმები კონსტიტუციური ორგანოების ხელმძღვანელებს, სასამართლო ხელისუფლების ხელმძღვანელებს, მივესალმები ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელებს, მივესალმები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, მივესალმები მოწვეულ სტუმრებს, მივესალმები ჩვენს ძვირფას თანამემამულეებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ თითოეულ ქართველს, ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, რომელიც საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ ზეიმობთ ჩვენს უმთავრეს ეროვნულ დღესასწაულს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ წვევამძღვლებს, რომლებმაც ამ დღისშესანიშნავ დღეს დადეთ სამშობლოს ერთგულების ფიცი.

3000 წელია, ქართველები ერთგულად შრომობდნენ, იბრძოდნენ და თავს წინაგდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. იმპერიათა გზაგასაყარზე, სწორედ ამ ერთგულებამ და თავგანწირვამ შეაძლებინა ჩვენს პატარა, მაგრამ ამაყ ქვეყანას, შეენარჩუნებინა თავისუფლება და სახელმწიფოებრივი და

უნი მმართველობის უძვირფასესი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. 70-წლიანი საბჭოთა მმართველობის დასასრულს, 1990 წელს საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, ხოლო 1991 წელს საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. მას შემდეგ, საქართველო გადის ერთგვარ მოსეს გზას, რომელიც, დარწმუნებული ვარ, „აღთქმულ მიწამდე“ აუცილებლად მიგვიყვანს.

ჩვენი „აღთქმული მიწა“, ანუ ქართული ოცნებაა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 40 წლის თავზე –2030 წელს ვიცხოვროთ ერთიან და ძლიერ საქართველოში ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან და დებთან ერთად, ერთიანი და ძლიერი საქართველო უნდა გახდეს 2030 წელს ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი.

გასული 34 წლის მანძილზე, საქართველომ მრავალი განსაცდელი გამოიარა. გამოვიარეთ სამი ომი 90-იანი წლების დასაწყისში. 2004-2012 წლებში გამოვიარეთ ფაქტობრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა, ავტორიტარიზმი, ავტორიტარული მმართველობა და მეოთხე ომი.

საზოგადოების გამოუცდელია და პოლიტიკოსების ღალატი ჩვენს ქვეყანას ტერიტორიების 20 პროცენტის დროებით დაკარგვად დაუჯდა. 2012 წლიდან დღემდე, გამოვიარეთ საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შერყევის არაერთი მცდელობა, განსაკუთრებით ბოლო 4 წლის განმავლობაში.

საქართველო და მისი დამოუკიდებლობა დღესაც ურთულესი გამოწვევების წინაშე დგას. თუმცა, დღეს ქართული საზოგადოება ბევრად უფრო გამოცდილია, ვიდრე დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში იყო, ხოლო ქვეყანას მართავს ხელისუფლება, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკი-

დებლობის საღარაჯოზე დგას და მის ეროვნულ ინტერესებს იცავს.

სწორედ ხალხისა და მის მიერ არჩეული ხელისუფლების ერთიანობამ და გონივრულმა ნაბიჯებმა მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ ეგზისტენციური საფრთხეების და მრავალმხრივი ღალატის, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტის ღალატის მიუხედავად, გასული 2 წლის განმავლობაში ქვეყანაში მშვიდობა შეგვენარჩუნებინა.

საქართველოს უახლესმა ისტორიამ და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა განსაკუთრებული სიციხადით დაგვანახა, რომ სუვერენიტეტი ქვეყნის უსაფრთხოების ყველაზე უფექტიანი გარანტიაა. სწორედ ამიტომ, დღეს, როგორც არასდროს უნდა გავუფრთხილდეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. სწორედ ამიტომ, დღეს, როგორც არასდროს, უნდა გავუფრთხილდეთ საქართველოს ეროვნული იდენტობის სამ საყრდენს—მამულს, ენას და სარწმუნოებას. სწორედ ამიტომ, დღეს, როგორც არასდროს უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და დავამარცხოთ სიძულელი, რადგან მტრობით დანგრეულის შენება მხოლოდ სიყვარულით არის შესაძლებელი.

3 ათასწლეულის განმავლობაში, იმპერიათა დაპირისპირების ეპიცენტრში მდებარე ჩვენი პატარა ქვეყანა ქართველთაგან იფარავდა. დღევანდელი მფარველობით და თითოეული ჩვენგანის შრომითა და ბრძოლით, ჩვენ აუცილებლად ავიხილავთ ქართულ ოცნებას და შევქმნით ერთიან და ძლიერ საქართველოს, რომელიც სუვერენიტეტით, ღირსებით და ფასეულობებით დაიკავებს კუთვნილ ადგილს საერთო ევროპულ ოჯახში.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ღმერთი იყო ჩვენი ქვეყნის მფარველი!


ლემა სწორედ სამშობლოს და ერთმანეთის სიყვარულით გადავარჩინეთ. დიდი იმპერიები ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ, რადგან მათი მამობრძელები ერთადერთი ძალა ანგარება და სიძულელი იყო. ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს ქვეყანას კი, რომელიც მამულს, ენას და სარწმუნოებას იცავდა და ღმერთის, სამშობლოს და ადამიანის სიყვარულს არ ივიწყებდა, საუკუნეების მანძილზე ღმერთი



საწყისი საბრძოლო მომზადების შედეგად ჩაქრებულ საქართველოს მსხვერპლთა სახსარად ფიში სახეივანე დადეს. ფიშის დადების შედეგად თბილისსა და კიდეც სთი კაზიმოვი ერთდროულად ჩაბარდა.



საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ ყოხტავა 85 წლის გახდებოდა...



ციხეებითა და გადასახლებებით გატანჯული და წამებული, მაინც უტეხი და უდრეკი, ვითარცა სალი კლდე.

მერაბ კოსტავა... დემონსტრანტების პირველ რიგში ქარისგან გაწეწილი ჭადარა თმები... ქართველი კაცის სინდისი და პატიოსნება.

მერაბ კოსტავა... ახალგაზრდობის წინამძღოლი, მათი კერპი, მათი იმედი.

მერაბ კოსტავა... საქართველოს თავისუფლებისთვის დამაშვრალი მეცხოვნე.

ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ დაკარგა მისი ერთ-ერთი აღმალორძინებელი, მაგრამ იპოვა გზა, რომელზეც წარბეჭედებულად ივლის საბოლოო გამარჯვებამდე“.

„საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცი, უშიშარი და გულანთებული რაინდი, ვის ძარღვებშიც წვეთიც არ იყო სისხლი არაქართული მერაბ კოსტავა...“

დამოუკიდებლობის დღე სობში

ქალაქ სობში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით საზეიმო, სპორტულ-გასართობი და კულტურული ღონისძიებები გაიმართა. 17 საათსა და 10 წუთზე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების

საზეიმო საღამო კონცერტით გაგრძელდა.

მაყურებლის წინაშე ფოლკლორული ანსამბლი „კოლხეთი“, ქორეოგრაფიული ჯგუფები, სამუსიკო სკოლის მომღერალთა გუნდი, კვარტეტი „სობი“



ისტორიულ დროს, აჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

კულტურის სასახლეში მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა და ბავშვთა ნახატების გამოფენა.

ცენტრალურ პარკში, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართა შეჯიბრებები, ხოლო დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მუნიციპალიტეტის საფეხბურთო პირველობის გამარჯვებული „ხეთა“ გახდა.

და სამეჯლისო ცეკვების სტუდიის ბავშვები წარდგინეს.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ლევან ქავთარაძე**, სობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **რევაზ ზაქარაია**, მერის მოადგილე **დავით ბერაია** და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ეს დღე ჩვენია

ეს საქართველოა!

თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სულისმართელობა და განუყოფლობა, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, რამდენჯერ უნატრია ქართველს?!

ჭირთა მრავლების წილ-ჭირთა თმენა უწვედა მას, თავისუფლების წილ-გმირთა ვარაშს უცქერდა და ითმენდა ღალატის საფასურს.

კლდეზე მიჯაჭვული ამირანის მარადი ბორგვა, თავისუფლების წყურვილი თანაბრად მოგვსდევს, როგორც ბედისწერა...

ეს ჩემი სამშობლოა, როგორი? აი, ასეთი როგორიც არის, თვალის ახელისთანავე რომ შემოგეჭრება სულში... შენ ქართველი ხარ!

ქ ა რ თ ვ ე ლ ი .
პირველი შეგრძნებისთანავე კავკასიონის ხელუხლები თოვლის სისპეტაკით, ჩქერალების მითიური ცეკვით, ველების მწვანე თვალთა ამო ღიმილით, ტყეთა შრიალა ფოთლებით საზღაპროდ მოგიხატავს სულს..

ეს ზღაპრულად ღამაში **საქართველოა!**
მერე მისდევ მონატრებულ აფხაზურ „აფხიარცას“.

მარად გულმზიან სვანურ „ლილეოს“, უშორესიდან შემორჩენილ მეგრულ „ოდოიას“.

გულიან-ღიმილიან გურულთა „კრიმანჭულს“.

ამერ-იმერთა მეაკენე იმერთ „ნანინას“ თასში მზეჩასულ კახელთ „მრავალუამირს“ აქ, ჩვენ რომ გვამაგრებს და შორს, ფერეიდანში ცისარტყელის ქვეშ მომლოდინეთ დაბრუნების სასწაულს რომ აჯერებს.

თუშ-ფშავ-ხევსურთა ბუბუნა ხმებს,

მთის სიკასკასეს და უბატონო თავისუფლების ლეგენდა ქცევას.

რაჭვულ გულწრფელ სიღინჯეს...

აჭარულ „ნენეს“ თმენას და „მემლექეთის“ გადარჩენას-ლაზისტანის ვერწაშლილ სუნთქვას რომ გასწავლის, ინგილოთ დღემდე მოსულ ტკივილს.

და ქართლურ გულში-ერთ უზარმაზარ და მაინც პატარა მზედ ჩამოსვლას საქართველოს სახატედ და სახელად-ეს ჩვენი **ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ა !**

ღვთისმშობლის წილხვედრი ვართ და თავისუფლებას ვნატრობთ..

თავისუფლები თავისუფლებისთვის ვიბრძვით..

გვიპყრობენ, მაგრამ, საოცრებით გადარჩენილები აგერ მერამდენე საუკუნეა ვამბობთ

ეს საქართველოა!
-აი, ასეთი სამშობლო გვაქვს ქართველებს, ნუ ვიფიქრებთ, რომ ვიღაც გვეჯობნის, რომ ვიღაც ჩვენზე მეტია.. მოუუაროთ მას, რითაც მეტნი ვართ-ასე ცოტანი!

დამოუკიდებლობა-იგივე თავისუფლების წილხვედრი თავის-უფლება მიეულოცოთ და დაეულოცოთ ჩვენს სამშობლოს!

დღეს 26 მაისია-საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე!

უფალმა დაგვლოცოს, ღირსგვეყონ ილიას, ზვიადისა და მერაბის უკვდავებად ქცეულმა სულეებმა, რომ საქართველომ ასე მრავალხმიანად და უდრეკად კვლავც შენივთებულ, აზვავებულ, მზემდე მისასვლელი ხმებით იგუგუნოს „თავისუფლება მრავალუამირ“!

გილოცავთ!

როზმბა შულაია.

გაუმარჯოს ორგზის დამოუკიდებლობა აღდგენილ ჩვენს სამშობლოს!..

დღეს ქართველი ერის დიდი დღესასწაულია. 106 წლის უკან 1918 წლის 26 მაისს, აღდგენილიქნა ქართული სახელმწიფოებრიობა და ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიაში შეიქმნა პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

ვარლობისთვე მრავალი ღირსშესანიშნავი თარიღებითაა ცნობილი, მაგრამ 26 მაისს ჩვენი ქვეყნისთვის სულ სხვა განზომილება აქვს და ამდენად იგი დღესასწაულთა დღესასწაულია.

დამოუკიდებლობის გამოცხადება საყოველთაო ზეიმად იქცა. ცარიზმის წინააღმდეგ ქართული ხალხის 117-წლიანი ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა. ჩვენმა ქვეყანამ მრავალსაუკუნოვანი ეროვნული სახემწიფოებრიობა ადაღინა და ეპოქის შესაფერისი დემოკრატიული რესპუბლიკა შექმნა, რითაც ჩვენი ხალხის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო-ის მსოფლიო თავისუფალ და თანასწორუფლებიან ერთა რიგებში ჩადგა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველადი საფრანგეთმა დააყენა. 1921 წლის 26 იანვარს, გასაბჭოებამდე ერთი თვით ადრე, საქართველო საფრანგეთთან ერთად სხვა მრავალმა ქვეყანამ აღიარა.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობის აქტზე დაყრდნობით თავის საზღვრებში უზრუნველყო ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

პირველმა ეროვნულმა ხელისუფლებამ ასევე შესძლო საყოველთაო საკვალდეზულო უფასო დაწყებითი განათლების შემოღება, ეროვნული ბანკის შექმნა, თბილისის უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადება, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფა, 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიღება და მრავალი სხვა სასიკეთო საქმის კეთება.

სამწუხაროდ, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სულ რაღაც არასრული სამი წელი იარსება, ქვეყნის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მიერ სამხედრო ძალის გამოყენებით პოლიტიკური ფორმის ძირეული ცვლილება მოჰყვა. რესპუბლიკის მთავრობა იძულებული შეიქმნა უცხოეთში გახიზნულიყო და იქიდან ებრძოლა დამფუძნებელი კრებისგან დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად.

მოხდა ისე, რომ ჩვენმა სამშობლომ დამოუკიდებლობა მეორედ 1991 წლის 9 აპრილს მოიპოვა. მას შემდეგ ეს თარიღიც აღინიშნება, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსთვის დაღუპულთა მოგონების დღე.

გაუმარჯოს ორგზის დამოუკიდებლობა აღდგენილ ჩვენს სამშობლოს, დაე, მარადიული მშვიდობა დასადგურებულისთვის სრულიად საქართველოში! გილოცავთ!

ნაირა ბერაია

1918 წლის 26 მაისის გაზეთ „საქართველოს“ მოწინავე გვერდზე დიდი ასოებით წერია:

„საქართველოს დამოუკიდებლობა გადაწყდა!“ იქვე მოწოდებაა: „საქართველოს მამულიშვილნო! საშინელს მსოფლიო ქარტეხილს, შინაურ და გარეშე ბრძოლაში საქართველოს თავისუფლება იშვა. შემოკრებით ყველანი მის დასაცავად, ასაყვავებლად. გაუმარჯოს განთავისუფლებულს საქართველოს, გაუმარჯოს ქართველ ერს!“

1918 წლის გაზეთი „საქართველო“ (№102) პირველ გვერდზე აქვეყნებს მასალებს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ. პირველ რიგში საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. შემდეგ საქართველოს ეროვნული

ლოს დამოუკიდებლობას!“

ამავე გაზეთში დაბეჭდილია ცნობილი საზოგადო მოღვაწის რაფიელ ინგილოს წერილი, ის წერს:

„ქართველ ერს ხანგრძლივ ისტორიულ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში წილად ჰხდომია განსაცდელში ჩავარდნა და ეროვნული ღირსებისა და თავმოყვარეობის დაკნინებაში ყოფნა, მაგრამ სული ერისა არასოდეს დაცემულა და არ მისცემია სასოწარკვეთილებას. ურიცხვი მტრების წინაშე ლაჩრულად ქედი არ მოუხრია ქართველობას და არც ჩვევია

ტული რეჟიმის მცდელობისა, წაეშალა ქართული თვითმყოფადობა, ქართველმა ეროვნულმა მოღვაწეებმა შეძლეს შეენარჩუნებინათ ეროვნული თვითშეგნება.

ქართველი ხალხი არასდროს შეგუებია თავისუფლების დაკარგვას. მას მრავალი ბრძოლის გადატანა მოუხდა და მიზანსაც მიაღწია: **1918 წლის 26 მაისს საქართველო თავისუფალი, დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა.**

საქართველოს მთავრობას და ხალხს საშუალება მიეცა მთე-

ჯანმრთელობას, პირველსავე წელს გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი. საქართველო აღიარებულიქნა სხვა სახელმწიფოთა მიერ. **საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან კომუნისტები ცდილობდნენ დაემხთ რესპუბლიკა და დაემყარებინათ საბჭოთა წყობილება. მათ მრავალი პრობლემა შეუქმნეს ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს, მაგრამ საქართველოს მთავრობის სასახელოდ მათ ვერ მიაღწიეს მიზანს, მხოლოდ**



„რამდენმა ქართველმა დალია სული ბრძოლის ველზე, რამდენი ჯანით სავსე ადამიანი მოწყდა სამშობლოს ცას და შთაინთქა ბრძოლის უფსკრულში, მაგრამ საერთო უბედურებას აორკეცებს ისიც, რომ ზოგჯერ დაუნდობელი ტყვეა არ ზოგავს ხალხის მოამაგესაც, სპეტაკი ზნეობისა და მაღალი იდეალის ადამიანსაც“, ...**„ერის თავისუფლებისთვის სიკვდილი იყო უდიდესი მოვალეობის აღსრულება... საქართველოს**

„დამოუკიდებელი საქართველო აღსდგა, გაუმარჯოს საქართველოს!“

საბჭოს 1918 წლის 26 მაისის ისტორიული სხდომის მსვლელობას.

„...პრეზიდენტის მაგიდასთან წარმომდგარ ნოე ჟორდანიას ფეხზე ამდგარი ხალხი მქუხარე ტაშით ეგებება“.

ნოე ჟორდანიას ესაღმება ეროვნული საბჭოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას და კითხულობს დამოუკიდებლობის აქტს. აქტი საბჭოს წევრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

გამოცხადდა დამოუკიდებელი საქართველოს დროებითი მთავრობა, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ნოე რამიშვილი.

სხდომას მისასაღმებელი სიტყვებით მიმართეს პოლონეთის, გერმანიის, ოსების, საქართველოში მცხოვრებ გერმანელთა წარმომადგენლებმა.

ქართველ მუსულმანთა სახელით სხდომას მიმართა ჰაიდარ ბეგ აბაშიძე:

„ძვირფასო ძმანო! დღეს თქვენი მოძმე ქართველი მაჰმადიანები გილოცავთ საქართველოს განთავისუფლებას, გილოცავთ მრავალტანჯულ საქართვე-

გამარჯვებულისაგან მოწყალეობის მიღება! ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეგნება ავალებდა მამაც ხალხს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაეცვა სამშობლოს მიწა-წყალი, არავითარ შემთხვევაში უკან არ დაეხია და ეგრძობებინა კალიასებრ მოზღვავეულ მტრისთვის, რომ საქართველოში შემოხიზვნას ის შეძლებს ქართველ მოლაშქრეთა გვაშების გადალახვით!“

იგივე პათოსით არის გაჟღერებული ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის მცხოვრებლების წერილი გამოქვეყნებული 1919 წლის 1 ივნისის გაზეთ „ერთობაში“: **„ნოჯიხევის“ მრავალრიცხოვანი კრება 26 მაისის დღესასწაულის გამო საღამოს უძღვნი რესპუბლიკის მთავრობას, ჯარს, გვარდიას და აღუთქვამს თავდადებულ ბრძოლას დამოუკიდებლობის დასაცავად“.**

26 მაისი დაუვიწყარი დღეა! ამ დღეს წინ უძღოდა 117 წლოვანი რუსული, იმპერიული ბატონობის წლები, რომელმაც თითქოს მოაღუნა ეროვნული ენერჯია. მიუხედავად ცარის-

ლი ძალ-ღონე მიემართა ქვეყნის აღდგენისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისთვის, რაც ადვილი არ იყო, რადგან რესპუბლიკის მთავრობას უხდებოდა გამკლავებოდა შინაურ მტრებსა და საგარეო საფრთხეებს.

საქართველოს რესპუბლიკამ ორივე სქესის მონაწილეობით ბევრ განვითარებულ ქვეყანაზე აღრე ჩაატარა არჩევნები. დააფუძნა სახელმწიფო ინსტიტუტები, მიიღო კანონმდებლობა ეროვნული და რელიგიური უმცირესობების დასაცავად, გასაქანი მიეცა ქალთა უფლებებს, ჩამოყალიბდა მრავალპარტიული სისტემური მმართველობა, პოლიტიკური აზრისა და დებატების კულტურა.

1919 წლის თებერვალში პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო და პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით არჩეულიქნა დამფუძნებელი კრება, ანუ პირველი პარლამენტი, რომელიც 130 წევრისგან შედგებოდა, 109 ადგილი მიიღეს სოციალ-დემოკრატებმა, 8-ეროვნულ-დემოკრატმა, 8-ფედერალისტებმა, 5-სოციალ-რევოლუციონერებმა, 3-სომეხ დაშნაკთა პარტიამ.

კომუნისტებმა ერთი ადგილიც კი ვერ მოიპოვეს.

ჩატარდა მიწის რეფორმა, მიღებულიქნა სოციალური კანონები, მიუხედავად მიძმე ეკონომიკური მდგომარეობისა, მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა განათლებას, ხალხის

გარეშე ძალის ჩართვის შემდეგ შეძლეს ეს.

1921 წელს საბჭოთა რუსეთი ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს რესპუბლიკას.

მტერთან ბრძოლაში მონაწილეობას ხობელებიც იღებდნენ, 1921 წლის 24 თებერვლის გაზეთ „ერთობაში“ ვკითხულობთ: „თავდაცვის საბჭოს და მთავრობის თავმჯდომარეს მოუვიდა შემდეგი დეპეშები:

ნობი. თებ. 17 ნობის თემის საზოგადოებამ მოისმინა რა თქვენი მოწოდება, ფიცსა სდებს გავიდეს ქულზე კაცი სამშობლოს დასაცავათ. შესდგა თავდაცვის კომიტეტი. ვლებულობთ მოხალისეებს. გროვდება ჯარისთვის შემოწირულება.“

ბრძოლა უთანასწორო იყო და 1921 წლის 25 თებერვალს წითელმა არმიამ თბილისი დაიკავა.

თავისუფლებისათვის ბრძოლას ბევრი პატრიოტი შეეწირა, კომუნისტურმა ხელისუფლებამ ათწლეულების განმავლობაში სამშობლოს დასაცავად დაღუპული გმირების სახელების ხსენებაც კი აკრძალა. მათ შორის იყვნენ ჩვენებურებიც, ჯერ კიდევ 1918 წელს სოჭთან დაიღუპა ოფიცერი ნიკოლოზ ფილიპია, რომელიც დღევანდელი პირველი-მაისიდან იყო.

საუკეთესო შვილნი შეეწირნენ მის თავისუფლებას...“

ამ სტრიქონების ავტორი საქართველოში შემოჭრილი საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯართან ბრძოლაში 1921 წლის 24 თებერვალს კოჯორთან გმირულად დაღუპული ოფიცერი ივანე (ლოლი) ლავრენტის ძე იოსავაა, ის სოფელ ბიაში იყო დაბადებული. იგი თბილისის სამხედრო ტაძრის გალავნის შიგნით დაუკრძალავთ (ამჟამად-რუსთაველის გამზირი, პარლამენტის შენობა).

1918 წლის 26 მაისიდან 106 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ ვნახეთ, საქართველო არასდროს შეგუებია თავისუფლების დაკარგვას, ბევრი სისხლი დაიღვარა...

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი სრულყოფილებისკენ სვლა არ არის იოლი, დიდი შრომა და ბრძოლა გვმართებს. თავისუფლებას დაცვა და განმტკიცება სჭირდება.

დღევანდელი საქართველო 26 მაისით იწყება!

26 მაისი დიდი და ბრწყინვალე დღესასწაულია! გულოცავთ სრულიად საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ისტორიულ დღეს-26 მაისს!

გომიბა ჩიტაია, ისტორიკოსი, ხობის საპატიო მოქალაქე.



ლებისთვის და თავი შესწირა მის დამოუკიდებლობას. მინდა ვისარგებლო შემთხვევით, საჯიჯაოს და სრულიად საქართველოს სკოლების მეთორმეტე კლასელებს მივულოცო სკოლის დამთავრება. სკოლის კურსდამთავრებულებო! გილოცავთ ცხოვრების ახალ საინტერესო ასპარეზ-

ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდეს. მიმდინარე წელს ზენში დასრულდა ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა, წვიმის დროს ირეცხებოდა სანაპირო ზოლი და იტბორებოდა საკარმიდამო ნაკვეთები. ასევე ზენში, სასერგიოს უბანში დასრულდა სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია, სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით სობის მუნიციპალიტეტის მე-

გან გაიწმინდა ორ კილომეტრამდე არხი, აღდგება სამი დაზიანებული ხიდ-ბოგირი, რომლის ღირებულება 330 000 ლარს შეადგენს. ზუბის უბანში მიმდინარეობს დღე „პარტიკი“-ზე არხის ამოწმენდის და ხიდ ბოგირების მოწყობის პროექტზე მუშაობა. მოსახლეობის ინიციატივით, ახლო მომავალში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი, ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონის მშე-

ში ჩატარდება მოხრეშვითი სამუშაოები. ზენში მოეწყობა მოსაცდელი, ჯაბიშაქარში-გაკეთდება გარე განათება. სობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების და ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის“ მიხედვით, 2023 წელს საჯიჯაოში მცხოვრებ შეჭირვებულ ორ ოჯახს სახლის გადასახურად გადა-

მოგესალმებით, მივესალმები „სობის მოამბის“ მკითხველს. გილოცავთ, ყველას საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.

26 მაისი საქართველოსთვის ისტორიული მნიშვნელობის დღესასწაულია, რომელიც სათავეს 1918 წლიდან იღებს. 1918 წლის 26 მაისს აღსრულდა ყველა ქართველის ოცნება—ეროვნულმა საბჭომ „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ მიიღო, რაც ახალი ერის დაბადების ტოლფას მოვლენად იქცა და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არასრული სამი წელი იარსება (1918-1921), მისი მემკვიდრეობა თანამედროვე ქართული სახელმწიფოსთვის დღემდე უმნიშვნელოვანეს გამოცდილებად და მომავალი განვითარების ორიენტირად რჩება.

დღეს საქართველო, დემოკრატიულ და ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული სახელმწიფოა, თუმცა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ქართველი ხალხისთვის ჯერ კიდევ არ დასრულებულა და ქვეყნის სახელმწიფოებრიობა და ტერიტორიული მთლიანობა კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას.

ჩვენმა ქვეყანამ, დიდი ქართველები გამოიარა. მტრის შემოსევები, ღალატი, ომები, მაგრამ არასდროს დაგვიტოვია მთავარი—ჩვენი იდენტობა, ღირსება! მამული, ენა, სარწმუნოება!

კიდევ ერთხელ გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს და გისურვებთ ყველას ერთად გვეცხოვროს ერთიან, ძლიერ და აყვავებულ საქართველოში! დიდება და პატივი მათ, ვინც იბრძოდა ჩვენი სამშობლოს თავისუფ-

ერთმანეთის თანადგომით ყველაფერს შევკლებთ

თამარ კვარაცხელია—სობის მუნიციპალიტეტის მერიის ნარჩომაღმენელი საჯიჯაოს ადგილისგარეშე ერთეულში.

ზე გასვლას, თითოეულ თქვენგანს გისურვებთ წარმატებულ, ბედნიერ და ღალატურ სტუდენტობას. თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის მომავალი და დარწმუნებული ვარ, უმნიშვნელოვანესი იქნება თქვენი როლი ჩვენი მუნიციპალიტეტის, სამშობლოს განვითარებასა და წინსვლაში.

რამ განახორციელა. ასევე დასრულდა პოლიციის ახალი განყოფილების მშენებლობა, თანამედროვე შენობა უახლესი ტექნიკით იქნა აღჭურვილი. დიდი ყურადღება ექცევა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრი-



რაც შეეხება საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ბოლო წლებში სობის მუნიციპალიტეტსა და კონკრეტულად საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. ეს არ ნიშნავს, რომ გამოწვევები აღარ არსებობს, თუმცა ეტაპობრივად ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტი განვითარდეს და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-

გებას, საჯიჯაოში მიმდინარეობს ქვედა ზენის უბანში „მაგიას კართან“ სტიქიის დროს დაზიანებული ხიდის აღდგენა. საახალაიოს უბანში მიმდინარეობს ნაპირსამაგრი სამუშაოების მოწყობა. ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროექტებს საავტომობილო გზების ღებარტამენტი ახორციელებს სოფელ ზენში დაიწყება „უჩა ღალუს“ არხის ამოწმენდის სამუშაოები. ნატანი მასისგან და ხე მცენარეების-

ნებლობა განხორციელდება, პროექტში გათვალისწინებულია ხელოვნური საფარის დაგება, განათება და სკამების მოწყობა. პროექტის განხორციელების შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობას კეთილმოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა ექნებათ.

მინდა ვუთხრა ჩემს საჯიჯაოელებს, რამდენიმე დღეში ინდივიდუალური გაზიფიცირების სამუშაოები დაიწყება. გაზიფიცირების შემდეგ, გარდა იმისა, რომ მოსახლეობას საგრძნობლად გაუმჯობესდება ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება, იგი ხელს შეუწყობს ადგილობრივი ტყის მასივის მაქსიმალურ შენარჩუნებას.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, სოფლის მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, გამოყოფილი თანხით მოსახლეობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით ზუბის უბან-

ეცა საჭირო მასალა. საჯიჯაოს ცენტრში, ყოველ ხუთშაბათს „მობილური იუსტიციის სახლის“ ავტომანქანა დგება და საჯიჯაოს მოსახლეობას სხვადასხვა სერვისებს აწვდის. მოსახლეობას სოფლიდან გაუსვლელად შესაძლებლობა აქვს ადგილზე აიღოს და შეეცვალოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მიიღოს მისთვის საჭირო 470-ზე მეტი სხვადასხვა მომსახურება. საჯიჯაოში ბოლო პერიოდში ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით ბევრი კარგი და მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. მჯერა, მომავალში ჩვენი მოქალაქეებისთვის კიდევ უფრო მეტი სასიკეთო საქმე გაკეთდება. გჯეროდეთ ერთმანეთის თანადგომით ყველაფერს შევკლებთ. წინ უკეთესი დღეები გველოდება! ყველაფერი კარგად იქნება!

1879 წლის 15 მაისი—„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ პირველი სხდომა

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ყოველ ჩვენთაგანს ისეთ დაწესებულებად მიგვაჩნია, რომელსაც თითოეული ქართველი თავის ჩინივით უნდა გაუფრთხილდეს!“—ივანე ჯავახიშვილი.

მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლების ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველაზე დიდ მოვლენას ქართველთა შორის წერა-კითხვის

და ბესარიონ ლოღობერიძეს დააკისრა. ილია ამ დროისთვის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში იდგა. აქტიურად მონაწილეობდა ლი-

თავი, ვახტანგ თულაშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ნიკო ლოღობერიძე და სხვა. 126 დამფუძნებელ წევრთაგან, კრებას დაესწრო 22 და ნამდვილი წევრობის მსურველი 61 კაცი.“

საზოგადოების თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილის მოგონებებიდანაც ვკითხულობთ.

„ფეხზე წამოდგნენ ყველანი

გეობის წევრებად—იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ივანე მანაბელი, რაფიელ ერისთავი და ალექსანდრე სარაჯიშვილი. საზოგადოება არსებობდა საწევრო შესატანით, რომელსაც იხდიდნენ დამფუძნებლები და წევრები.

საზოგადოების უპირველესი მიზანი სახალხო სკოლების გახსნა იყო, სადაც ქართველი ბავშვები მშობლიურ ენაზე და-

თეკებისა და სამკითხველოების დაარსება, რომელნიც ხალხში განათლების შეტანის მსახურნი უნდა გამხდარიყვნენ. იგი შეუდგა ქართული ძველი ხელნაწერების შეკრებას და დაცვას. აღსანიშნავია 1884 წელს სამეგრელოს მთავართა—დადიანების ნაქონი ხელნაწერების ჩამოტანა გორდიდან თბილისში. (თავად დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის უფროსმა ვაჟმა ნიკო დადიანმა საზოგადოებას უფასოდ გადასცა ქართული ხელნაწერების მდიდარი ფონდი).

თავისი არსებობის მანძილზე საზოგადოებამ მრავალი ეროვნული საქმე გააკეთა. აღსანიშნავია ორი მნიშვნელოვანი თარიღი—ეს იყო რაფიელ ერისთავის და აკაკი წერეთლის იუბილეები.

საზოგადოებამ დიდი მონა-



დიმიტრი ყიფიანი



ილია



იაკობ გოგებაშვილი



ივანე ჯავახიშვილი

გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება წარმოადგენდა, რომელიც გადაიქცა ქართველთა „ეროვნულ თავშესაფრად, მათი ეროვნული ინტერესების ქომაგად და დამცველად ათეული წლების მანძილზე.“

თუ როგორ დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან ამ საზოგადოების დამფუძნებლები: იაკობ გოგებაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ანტონ ფურცელაძე, ისიდორე მანსვეტაშვილი და სხვა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების თარიღად ითვლება 1879 წლის 31 მარტი, როდესაც მთავრობამ ოფიციალურად დაამტკიცა საზოგადოების წესდება, რომელიც დიმიტრი ყიფიანის, ნიკო ცხვედაძისა და იაკობ გოგებაშვილის მიერ იყო შედგენილი.

1878 წლის 30 იანვარს გრიგოლ ორბელიანის სახლში შეკრებილმა საზოგადოების დამფუძნებელთა კრებამ, მთავრობის უმაღლეს ორგანოებში წესდების დამტკიცება დიმიტრი ყიფიანს, ილია ჭავჭავაძეს

ტერატურულ-კულტურულ საქმიანობაში, რედაქტორობდა ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიას“, სათავეში ედგა თბილისის სათავადაზნაურო ბანკს და დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ქართულ საზოგადოებაში. ამ მომენტიდან ილია აქტიურად ჩაება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საორგანიზაციო საქმეში. ამაზე მიუთითებს ი. გოგებაშვილის და თ. თულაშვილის „მოგონებები“ წერა-კითხვის საზოგადოების დაარსების შესახებ.

1879 წლის 15 მაისს შედგა პირველი სხდომა იმ საზოგადოებისა, რომელსაც გრიგოლ ორბელიანის წინადადებით დაერქვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც შემდეგ ი. გოგებაშვილმა „ჩვენი სამეცნიერო აკადემია“ უწოდა.

გოგებაშვილის მოგონებიდან. „1879 წლის 15 მაისს, დილას, 11 საათზე, თბილისის სააღვლამაშულო ბანკის შენობაში შედგა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელთა პირველი თავყრილობა.

ყრილობაზე მობრძანდნენ: დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, რაფიელ ერის-

თავი და ერთხმად სთხოვეს გრიგოლ ორბელიანს, რომ ენებებინა და თავმჯდომარეობა მიეღო საზოგადოებისა და მისი გამგეობისა, მაგრამ გრიგოლ ორბელიანმა ბოდიში მოიხადა და უარი განუცხადა ყრილობას შემდეგი სიტყვებით:


„დიდათა ვწუხვარ, ჭეშმარიტად რომ უარი უნდა განვიცხადოთ. ეს საქმე ისეთი დიდი და მძიმე საქმეა, რომ საზოგადოების თავმჯდომარეც და იმის მმართველობაც განუწყვეტელ შრომაში უნდა იყვნენ, რომ ეს ღვთიური საქმე კეთილად წარიმართოს: მე ყოველთვის მზად ვარ, რითაც შემიძლია საზოგადოებას ვემსახურო, მაგრამ ეს ჯაფა რომ ვიკისრო, არც სიმართლე მაძლევს ნებას და არც თვითონ საქმის გამოცდილება მაქვს საკმარისი. ამ მიზეზებით გთხოვთ, მე გამანათავისუფლოთ და თავმჯდომარეობა იმასა ვთხოვოთ, ვინც თავიდანვე ამ საქმეს ადგია და ხელი მიუშვირა დიმიტრი ყიფიანზედ. მაშინ ყრილობამ დ. ყიფიანი ერთხმად აირჩია საზოგადოებისა და მისი გამგეობის თავმჯდომარედ.“

ამრიგად, 15 მაისს საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ არჩეულიქნა დიმიტრი ყიფიანი, მოადგილედ (ამხანაგად) ილია ჭავჭავაძე, გამ-

გმავრცელებელი საზოგადოების დაარსება წარმოადგენდა, რომელიც გადაიქცა ქართველთა „ეროვნულ თავშესაფრად, მათი ეროვნული ინტერესების ქომაგად და დამცველად ათეული წლების მანძილზე.“

თუ როგორ დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან ამ საზოგადოების დამფუძნებლები: იაკობ გოგებაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ანტონ ფურცელაძე, ისიდორე მანსვეტაშვილი და სხვა.

საზოგადოების დაარსების თარიღად ითვლება 1879 წლის 31 მარტი, როდესაც მთავრობამ ოფიციალურად დაამტკიცა საზოგადოების წესდება, რომელიც დიმიტრი ყიფიანის, ნიკო ცხვედაძისა და იაკობ გოგებაშვილის მიერ იყო შედგენილი.



წილობა მიიღო თავისი პირველი თავმჯდომარის—დიმიტრი ყიფიანის ნეშთის რუსეთიდან საქართველოში გადმოსვენებასა და მთაწმინდაზე დაკრძალვაში. საზოგადოების ხარჯით აიგო 1885 წლიდან 1907 წლამდე მისი უცვლელი თავმჯდომარის, ილია ჭავჭავაძის ძეგლი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1927 წლამდე იარსება.

ბეჟან ნადარაია.

18 მაისი – მუზეუმების საერთაშორისო დღე!

მუზეუმების საერთაშორისო დღე განსაკუთრებულია სამუზეუმო საზოგადოებისთვის. ამ დღეს ათასობით მუზეუმში გვეგვამს დია კარის დღეებს, სამეცნიერო კონფერენციებს, შემოქმედებით ღონისძიებებსა და სხვა აქტივობებს. მუზეუმების საერთაშორისო დღეს 18 მაისს, 1978 წლიდან აღნიშნავს 150 ქვეყანა.

მუზეუმების საერთაშორისო დღის ფარგლებში საქართველოს განათლების, მეც-

ნობის მუნიციპალიტეტის პირობებში (ისევე როგორ ყველგან), მუზეუმის მუშაობის ზოგადი სპეციფიკიდან და მემარტულებიდან გამომდინარე სამსახურმა უნდა უპასუხოს მის წინაშე მდგომ მოთხოვნებს. ამისთვის საჭიროა მუზეუმების გამართვა, როგორც ტექნიკურად ასევე პროფესიონალი ადამიანური რესურსით.

ნობის მუნიციპალიტეტში 4 მუზეუმი:

„საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“ ხეთაში, „ალიო მირცხულავას სახელობის ლიტერატურის მუზეუმი“ სოფელ პირველ ხორგაში; „ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლი“ სოფელ ძველ ხიბულაში და ძუკუ ლოლუას სახელობის „ქართული (ხალხური) სიმღერების მუზეუმი“ ქ. ნობში.

ოთხივე მუზეუმი მეტ-ნაკლებად ხელშესახება. განსაკუთრებით კრიტიკული მდგომარეობა გვაქვს პირველ ხორგაში „ალიო მირცხულავას სახელობის ლიტერატურის მუზეუმში“, რომელიც სრულად გასაახლებელი, მოსაძიებელი და შესაქმნელია ექსპონატები, პოეტის ცხოვრების პერიოდის შესაბამისი ავთენტური ავეჯი და ა.შ.

ასევე კაპიტალურად სარემონტოა ხეთის მუზეუმი. ეზოში არსებული შინმოუსვლელი ჯარისკაცის სახლი სრულად აღსადგენია. სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი ამ ერთიან კომპლექსში არსებული უნიკალურ თეატრონში, რომელიც 5 ათასამდე მაყურებელს იტევს.

ზვიად გამსახურდიას სახელობის მემორიალური სახლის მთავარი საზრუნავი ექსპონატებით გამდიდრება და ვიზიტორთათვის კომფორტის შექმნაა.

რაც შეეხება ძუკუ ლოლუას სახელობის მუზეუმს, აქ ხელშესახება საზურავი და ჭერი, რომელიც ატმოსფერული ნალექების შედეგად სახეცვლილია. სხვაგვარად მუზეუმის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ასევე უნდა აღინიშნოს ნობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხამისკურში არსებული პიერ და ბადრი კობახიძეების (ყოფილი) მუზეუმი, რომელიც დღეს კერძო საკუთრებაშია.

არის იმედი, რომ პერსპექტივაში (გარკვეული პირობებით) მუზეუმი გადმოეცემა მუნიციპალიტეტს.

ლევან სოფარიძე, ნობის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების მენეჯერი



ნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით საქართველოს თითქმის ყველა მუზეუმში აქცია „ღამე მუზეუმში“ ტარდება.

დამთავალიერებელს საშუალება ეძლევა, ესტუმროს სასურველ მუზეუმს და თავად გახდეს იმ კულტურული ღონისძიებების მონაწილე, რომლებიც აქციის ფარგლებში იმართება.

მუზეუმების ძირიდათი როლი ზოგადად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, წარმოჩენა და გამდიდრებაა. მუზეუმები არ არსებობენ თავისთავად ის ორიენტირებულია მომავალი თაობის ინფორმირებისა და განვითარებისთვის. მუზეუმებში ვიზიტი, კულტურული ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე ჩვეულებრივი გამოხატულებაა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ნობის მუნიციპალიტეტში, პირველი მაისის ღვთისმშობლის ტაძრად მიეცა ნების სახელობის ტაძრისა და სამონასტრო კომპლექსის ფერდობის გამაგრებითი სამუშაოები მიმდი-



ადგილზე განვითარებული, მეწერულ-ეროზიული პროცესების შედეგად ჩამოიშალა ფერდობის ნაწილი, რამაც საფრთხე შეუქმნა სამონასტრო კომპლექსს. მეწვერმა დააზიანა კომ-

ნარეობს, ასევე აღდგება მეწვერის შედეგად დაზიანებული გალავანი და სამრეკლო.

მიმდინარე სამუშაოებს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია და ნობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია გაეცნენ.

პლექსის გალავანი და სამრეკლო.

პროცესში გეოლოგების ჩართვის შემდეგ, სპეციალისტების დასკვნების შესაბამისად მომზადდა პროექტი და ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები.

პროექტს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს.

17 მაისს, ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღესთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზე-



რულების შემდეგ კი, ქალაქ ნობში, სამღვდლოების და მრევლის მონაწილეობით საზეიმო ღონისძიებები გაიმართა.

ნობში მიმდინარე ღონისძიებით მსვლელობას მრევლთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები შეუერთდნენ და მოქალაქეებს ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე მიულოცეს.

17 მაისი, ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ინიციატივით, 2014 წელს დაწესდა.

17 მაისი, ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ინიციატივით, 2014 წელს დაწესდა.

თ ე რ ბ ე

მდინარე სობისწყლის სანაპიროზე ხანდახან ადგილი აქვს შემთხვევით აღმოჩენებს. ძალიან საინტერესოა ცხოველის თიხის ქანდაკება და ბრინჯაოს ბალთა, რომელიც სობისწყლის პირას სოფელ პირველ ხორგაშია შემთხვევით ნაპოვნი.

სობი შედის ცენტრალურ კოლხეთში, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულია, და არქეოლოგიური კომპლექსების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი რეგიონია.



ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულებში წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ კერას კოლხური ბრინჯაოს კულტურისა, რომელიც ფართო არეალს მოიცავდა, კერძოდ, დღევანდელი დასავლეთ საქართველოს

რედ სახის ნაკეთების ღრუებით გადმოცემა, რაც გამოარჩევს ამ ქანდაკებას კოლხეთში აღმოჩენილი და ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებული თიხის მცირე ზომის ზომორფული ქანდაკებებისგან, ვანში ცნობილ ორმხრივპროტომიანი ცხოველის ფიგურებთან ერთად აღმოჩენილ თიხის ფიგურებისგან, რომლებზეც სხვადასხვა სტილიზებული ცხოველებია გამოსახული (როგორც თიხის, ასევე ბრინჯაოს ზომორფული ქანდაკებები კოლხეთში ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებში ფართოდ ვრცელდება. კოლხური ზომორფული პლასტიკა უმეტესწილად ხარის ფიგურებითაა წარმოდგენილი. თუმცა, გვხვდება ცხენის, ან ძაღლის მსგავსი გამოსახულებებიც, რომლებსაც ფორმით სობში აღმოჩენილი თიხის ფიგურა შეიძლება დაუკავშიროთ. ამ თიხის ფიგურას ზუსტი ანალოგი ჯერჯერობით არ მოეპოვება, მაგრამ საერთო იერით ის ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების კოლხური კულტურისთვის დამახასიათებელ ზომორფულ ფიგურებს შეიძლება მივაკუთვნოთ. ჩვეულებრივ ასეთი ფიგურები ნაყოფიერების კულტს უკავშირდება.

ბრინჯაოს ზომორფული ფიგურები გვხვდება კოლხეთის სამაროვნებსა და კოლექტიურ სამარხებში ცაიშის, ერგეტას, მუხურჩის, დღვაბას, ურეკისა და

შემთხვევითი აღმოჩენები სოფელ პირველ ხორგაში

თითქმის მთელ ტერიტორიას (აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა, იმერეთი, ასევე რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი) და კოლხური ტიპის განძების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ გავრცელებული იყო დღევანდელი კოლხეთის მოსაზღვრე შიდა ქართლში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სამცხე-ჯავახეთსა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში (მეჩხისციხე, ართვინი, ორდუ. ხოლო ქრონოლოგიურად მას წინ უძღოდა პროტოკოლხური კულტურა.

რაც შეხება ნივთებს, ისინი აღმოჩენილიქნა პირველ ხორგაში, სობის ადმინისტრაციულ ერთეულში, სობის წყლის მარჯვენა სანაპიროზე, რასაც ხელი შეუწყო წვიმამ. ზოგადად სობის წყლის სანაპიროზე მუდამ ჩნდება წვიმის შემდეგ ნივთები, რომლებიც ადგილობრივების

ყურადღების ქვეშ ექცევა. სწორედ ასეთი შემთხვევის შედეგად გამოვლინდა ეს ნივთები. ჯერ აღმოჩენილიქნა თიხისგან დამზადებული ცხოველის ქანდაკება, რომელიც მდინარის

სანაპიროზე შეამჩნია ზვიად კორტავამ, ხოლო ერთი წლის შემდეგ სანაპიროსგან მოშორებით გოჩა კორტავამ აღმოაჩინა ბრინჯაოს ბალთა. ორივე ნივთი ადგილზევე დაათვალიერეს რევაზ პაპუაშვილმა და გოგიტა ჩიტაიამ. ნივთები გადაეცა სობის მერიის კულტურის სამსახურს, შესწავლის შემდგომ ეს ნივთები დაცული იქნება ხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

თიხის ფიგურა-რომლის სიგრძე არის 21 სანტიმეტრი, წონა 792 გრამი, წარმოადგენს ცხოველის ქანდაკებას მარტივი ფორმებით. სხეული არ გამოირჩევა მოდელირებით, ტანი წაგრძელებულია, კისერი არაა მკაფიოდ გამოყვანილი, ფეხები მოკლეა და არა სიმეტრიულიც კი; წინა ფეხები უფრო მცირე ზომისაა და ცილინდრისებური, უკანა უფრო განიერი, კუდი კონუსისებური.

ცხოველის ეს ფიგურა გამოირჩევა იმით, რომ თვალეები მცირე ზომის ღრუებითაა გამოყვანილი. ღრუნის ზევით, რომელიც ორად არის გაყოფილი, ასევე ღრუებით არის გამოყვანილი ნესტოები. სწო-



მახვილაურის სამარხულ კომპლექსებში. ნაწილი კი, შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად არის მოპოვებული.

ბრინჯაოს ბალთა-სამკუთხა ტანიანი და გრძელნისკარტიანი ფრინველის ფორმის, სიგანით 4 სანტიმეტრი, წონით 12 გრამი, სამკუთხა ტანიანი ფრინველის სტილიზებული სკულპტურული გამოსახულება გამოირჩევა სპირალური ორნამენტით -სამი ერთმანეთზე გადაბმული სპირალი მიუყვება სამკუთხედს. (უნდა შევნიშნოთ, რომ მკვლევარ გოგიტა ჩიტაიას აზრით ეს არის ცხენის გამოსახულება).

როგორც ცნობილია, სპირალები მარადიულ მოძრაობას გამოხატავენ, ხოლო სამკუთხედი, სამყაროს აგებულების შესახებ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება.

საყურადღებოა ფრინველის თვალეები, რომლებიც რელიეფური წერტილებით-ბურცობებითაა გადმოცემული. ამ ნიშნით ფრინველის ანალოგიური სკულპტურული გამოსახულებები გვხვდება მესხეთის ზომორფულთაგან საკინძებზე, ბორნილელეს (სამცხე-ჯავახეთი) სამაროვანზე აღმოჩენილ საკიდებზე, ბერიკლდეების ნამოსახლარზე აღმოჩენილ თიხის ჭურჭელზე და სასირეთის სარიტუალო ჭურჭელის სარკველზე და აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელზე სწორედ სპირალებთან კომბინაციაში. ყველა მათგანი თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებით, ან მეორე ნახევრით და ამდენად, სობში აღმოჩენილი ბალთაც იგივე ქრონოლოგიურ ჩარჩოებში უნდა მოექცეს. ამრიგად, ცენტრალურ კოლხეთში, სობში შემთხვევით აღმოჩენილი ორი ნივთი-თიხის ზომორფული ფიგურისა და ბრინჯაოს ასევე ზომორფული ბალთის სახით მოგვეპოვება გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის მნიშვნელოვანი არტეფაქტები, რომლებიც შემდგომში ღრმა კვლევის საგანი შეიძლება გახდეს შემდეგი თვალსაზრისით:

1. თიხის ზომორფული ქანდაკება, რომელიც საერთო იერით VIII-VII კოლხური ზომორფული პლასტიკის ნიმუშებს უნდა მიეკუთვნებოდეს, მაგრამ გარკვეული სტილისტური ნიშნებით სიახლეს წარმოადგენს;
2. ცენტრალურ კოლხეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბალთა, რომელიც პირდაპირ კავშირებს ავლენს აღმოსავლეთ საქართველოს ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის არქეოლოგიურ მასალასთან.

მარიამ ბუკია, საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი.

რვენს მუნიციპალიტეტი

სობის კულტურის სასახლის დიდ დარბაზში, ხალხური სიმღერის ანსამბლ „კოლხეთის“ და ქორეოგრაფიული ანსამბლ „კოლხეთის“ კონცერტი გაიმართა.

კულტურის სასახლეში შეკრებილი მაყურებლის წინაშე ანსამბლები ქართული ხალხური სიმღერებითა და ცეკვებით წარსდგნენ.

ლონისძიებას სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, სობის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილე დავით ბერაია და მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ელისო კვიციანი ესწრებოდნენ.

კონცერტი „სობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ ორგანიზებითა და მერიის მხარდაჭერით ჩატარდა.



სობის მუნიციპალიტეტის ყულევის და ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულებში, მდინარე სობისწყალთან ნაპირდამცავი ინფრასტრუქტურა მოეწყო.

ყულევსა და ქარიატაში განხორციელებული სამუშაოები სობის მუნიციპალიტეტის მერიის პირველმა მოადგილემ, რევაზ ზაქარაიამ და მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, გაია ჩაბალუხამ დაათვალიერეს.

მუნიციპალიტეტის დასახლებებში ნაპირდამცავი ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროექტებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს.



სკოლებში გამოსაშვები „ბოლო წაწი“ დაიწყო



დამოუკიდებლობის დღის მიხედვით სპორტი

20 მაისს სტარტი აიღო ხობულის მუნიციპალიტეტის პირველობამ ფეხბურთში, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს მიეძღვნა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: შაველეს, ჭალადიდის, ქარიატის, ხობულის, საჯიჯაოს, თორსის, ხეთისა და სობის „ჭალეს“ გუნდები.

საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ პრიზიორები და ჩემპიონები, ასევე საუკეთესო ფეხბურთელები სხვადასხვა ნომინაციაში.

საუკეთესო მეკარე გახდა ლევან რუხაძე; საუკეთესო მცველი-მანუჩარ ლატარია; საუკეთესო ნახევრამცველი-ლევან ხურცილავა; საუკეთესო თავდამსხმელი-სულხან თოდუა; ბომბარდირი გახდა დიმა თოდუა.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიპოვა გიორგი ლატარია.

მუნიციპალურ პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა თორსის ფეხბურთელთა გუნდმა.

26 მაისს გაიმართა ფინალური მატჩი ხეთა-საჯიჯაო. ხეთელებმა 2:0 დაამარცხეს საჯიჯაოელები. ამრიგად, მეორე ადგილი დაიკავეს საჯიჯაოს ფეხბურთელებმა; პირველი ადგილი და მოყვარულთა ლიგის რეგიონალური თამაშების საგზური ხეთის ფეხბურთელთა გუნდმა.

საუკეთესო ფეხბურთელები და საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ სიგელებით, პრიზებით, მედლებითა და თასებით. ხეთის ფეხბურთელთა გუნდი რეგიონალური თამაშების დაწყებამდე სათამაშო ფორმებით დაჯილდოვდა.

* * *

26 მაისს ასევე ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნი-

ლი სპორტული აქტივობები ნარდში და შაშში. ნარდში საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა: მესამე ადგილი-ამირან დგებუაძემ, მეორე ადგილი-ხვიჩა ჭანტურიამ, პირველი ადგილი-კალისტრატე ხურცილავამ დაიკავეს.

შაშში კი მესამე ადგილი ცოტნე ქაჯაიას ერგო, მეორე-ირაკლი ალანას, ჩემპიონი გახდა ნიკა ბუკია.



გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სიგელებით და თასებით.

დაჯილდოების ცერემონიალს უძღვებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, თავმჯდომარის მოადგილე მამუკა ქარდავა, მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია, მერის მოადგილე დავით ბერაია და სხვა ოფიციალური პირები.

ბრატისლავაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე „სობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრის“ მკლავჭიდელმა ექვსი ოქროს, ორი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. (ნიკოლოზ ზარანდია, მერაბი გვალია, საბა დანელია, დათუნა ჟიშკარიანი, გიორგი ბუსქანძე).

სობის მუნიციპალიტეტის მერია სობელ მკლავჭიდელებს და მათ მწვრთნელს, კობა თუთბერიძეს ულოცავს საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებულ დიდ გამარჯვებას!



რედაქტორი-ბეჟან ნადარაია. ტელ: 579-72-61-72

სარედაქციო კოლეგია:

მერი ლაგვილავა-პასუხისმგებელი მდივანი, ნანი კილასონია-ჟურნალისტი, გოგიტა ჩიტაია, გოგი ბუკია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ნინა ბუკია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში (დირექტორი კობა კობახიძე). ტელ: 577 60-22-21.

ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.